KA040149339041420

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 150/სა **12 / ივნისი / 2020 წ.**

ბრძანება

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის № 242 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტისა და წესის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 2 აპრილის № 281/სა ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა:

ა) გიორგი თუმანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

ბ) ხათუნა ლორია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

გ) თამარ ღვამიჩავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი - საბჭოს წევრი;

დ) იზა კასრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - საბჭოს წევრი;

ე) ანა ძაძამია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი - საბჭოს წევრი;

ვ) ირმა ქევხიშვილი - საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს წევრი;

2. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს ერთი წლის ვადით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 15 ივნისიდან.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა